

## **შპს ონიმა**

*ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*

*2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის*

## შინაარსი

|                                                                                                       |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                                               | 4  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                                                                     | 6  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                                                             | 7  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... | 8  |
| ანგარიშგების შესაბამისობა .....                                                                       | 8  |
| ამონაგების აღიარება.....                                                                              | 9  |
| სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....                                                  | 9  |
| მოგების გადასახადი .....                                                                              | 9  |
| ძირითადი საშუალებები .....                                                                            | 10 |
| არამატერიალური აქტივები .....                                                                         | 11 |
| აქტივების გაუფასურება.....                                                                            | 12 |
| იჯარა.....                                                                                            | 13 |
| მარაგები.....                                                                                         | 13 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                                                     | 14 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                                                       | 14 |
| სავაჭრო ვალდებულებები .....                                                                           | 15 |
| 3. ძირითადი საშუალებები .....                                                                         | 16 |
| 4. არამატერიალური აქტივები .....                                                                      | 17 |
| 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....                                             | 18 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....                                                       | 18 |
| 7. მარაგები.....                                                                                      | 19 |
| 8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები .....                                                   | 19 |
| 9. ამონაგები.....                                                                                     | 20 |
| 10. სხვა შემოსავლები .....                                                                            | 20 |
| 11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                           | 20 |

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

|                                            | შენიშვნა | 31/12/2018       | 31/12/2017       |
|--------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                  |                  |
| გრძელვადიანი აქტივები                      |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 3        | 2,437,280        | 2,091,803        |
| არამატერიალური აქტივები                    | 4        | 62,886           | 67,219           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>2,500,166</b> | <b>2,159,022</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 5        | 116,280          | 111,615          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 6        | 893,594          | 504,289          |
| მარაგები                                   | 7        | 1,474,114        | 935,922          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>2,483,988</b> | <b>1,551,826</b> |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    |          | <b>4,984,154</b> | <b>3,710,848</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |
| მთლიანი კაპიტალი                           |          |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 200              | 200              |
| გაუნაწილებელი მოგება                       |          | 1,692,693        | 1,933,151        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>1,692,893</b> | <b>1,933,351</b> |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                 |          |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                       |          | 960,161          | 62,649           |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>960,161</b>   | <b>62,649</b>    |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                 |          |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 8        | 1,131,398        | 942,963          |
| მოკლევადიანი სესხები                       |          | 1,011,100        | 586,100          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          | 188,602          | 185,785          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>2,331,100</b> | <b>1,714,848</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>4,984,154</b> | <b>3,710,848</b> |

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური მენეჯერი



დირექტორი ასათიანი



Page 3 of 20

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

|                                            | შენიშვნა | 31/12/2018       | 31/12/2017       |
|--------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 3        | 2,437,280        | 2,091,803        |
| არამატერიალური აქტივები                    | 4        | 62,886           | 67,219           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>2,500,166</b> | <b>2,159,022</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 5        | 116,280          | 111,615          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 6        | 893,594          | 504,289          |
| მარაგები                                   | 7        | 1,474,114        | 935,922          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>2,483,988</b> | <b>1,551,826</b> |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    |          | <b>4,984,154</b> | <b>3,710,848</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |          |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 200              | 200              |
| გაუნაწილებელი მოგება                       |          | 1,692,693        | 1,933,151        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>1,692,893</b> | <b>1,933,351</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |          |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                       |          | 960,161          | 62,649           |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>960,161</b>   | <b>62,649</b>    |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 8        | 1,131,398        | 942,963          |
| მოკლევადიანი სესხები                       |          | 1,011,100        | 586,100          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          | 188,602          | 185,785          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>2,331,100</b> | <b>1,714,848</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>4,984,154</b> | <b>3,710,848</b> |


**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

|                                          | შენიშვნა | 31/12/2018       |
|------------------------------------------|----------|------------------|
| ამონაგები                                | 9        | 11,821,091       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    |          | (6,457,749)      |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>5,363,342</b> |
| სხვა შემოსავლები                         | 10       | 144,098          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 |          | (2,176,250)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     |          | (463,193)        |
| იჯარის ხარჯი                             |          | (384,539)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი |          | (1,225,881)      |
| სხვა ხარჯები                             |          | (1,083,278)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |          | <b>174,299</b>   |
| კურსთაშორის სხვაობა                      |          | 21,124           |
| საპროცენტო ხარჯი                         |          | (141,385)        |
| <b>მოგება დაბერვრამდე</b>                |          | <b>54,038</b>    |

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური მენეჯერი



დimitრი ასათიანი



**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

|                                          | შენიშვნა | 31/12/2018       |
|------------------------------------------|----------|------------------|
| ამონაგები                                | 9        | 11,821,091       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    |          | (6,457,749)      |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>5,363,342</b> |
| სხვა შემოსავლები                         | 10       | 144,098          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 |          | (2,176,250)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     |          | (463,193)        |
| იჯარის ხარჯი                             |          | (384,539)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი |          | (1,225,881)      |
| სხვა ხარჯები                             |          | (1,083,278)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |          | <b>174,299</b>   |
| კურსთაშორის სხვაობა                      |          | 21,124           |
| საპროცენტო ხარჯი                         |          | (141,385)        |
| <b>მოგება დაბერვრამდე</b>                |          | <b>54,038</b>    |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს “ონიმა”-ს (შემდგომში - „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

კომპანია დაარსდა 2008 წლის 8 მაისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 212916157.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების, კერძოდ ძეხვის და ხორცპროდუქტების წარმოება.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი მთვარისა ონიანი-მამალაძე. კომპანიას მართავს დირექტორი გოჩა მამალაძე.

კომპანიის მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი გუგუნავას ქუჩა #13.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### ანგარიშგების შესაბამისობა

მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღების ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახდელების გამოკლებით.

### სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

### მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული

ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

## მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე .

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### 3. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება         | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>ავეჯი და სხვა | სატრანსპორტი<br>საშუალებები | სხვა      |
|------------------------|-------------------------|-----------------------------------------|-----------------------------|-----------|
| 1 იანვარი 2018 წელი    | 3,308,644               | 149,327                                 | 525,540                     | 358,666   |
| შემოსვლა               | 653,927                 | 16,858                                  | 148,280                     | 666,775   |
| გასვლა                 | (98,912)                | (12,208)                                | (179,653)                   | (554,063) |
| 31 დეკემბერი 2018 წელი | 3,863,659               | 153,977                                 | 494,167                     | 471,378   |

| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება           | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>ავეჯი და სხვა | სატრანსპორტი<br>საშუალებები | სხვა    |
|------------------------------------------|-------------------------|-----------------------------------------|-----------------------------|---------|
| 1 იანვარი 2018 წელი                      | 1,777,847               | 75,074                                  | 260,185                     | 137,268 |
| გამოკლებული აქტივების დაგროვილი<br>ცვეთა | (69,392)                | (8,562)                                 | (78,580)                    | (2,403) |
| წლიური ცვეთა                             | 350,482                 | 16,175                                  | 52,793                      | 35,014  |
| 31 დეკემბერი 2018 წელი                   | 2,058,937               | 82,687                                  | 234,398                     | 169,879 |

| საბალანსო ღირებულება   | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>ავეჯი და სხვა | სატრანსპორტი<br>საშუალებები | სხვა    |
|------------------------|-------------------------|-----------------------------------------|-----------------------------|---------|
| 31 დეკემბერი 2018 წელი | 1,804,722               | 71,290                                  | 259,769                     | 301,499 |

#### 4. არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება         | პროგრამული<br>უზრულველყოფა |
|------------------------|----------------------------|
| 1 იანვარი 2018 წელი    | 80,045                     |
| შემოსვლა               | 4,396                      |
| გასვლა                 | -                          |
| 31 დეკემბერი 2018 წელი | 84,441                     |

| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება           | პროგრამული<br>უზრულველყოფა |
|------------------------------------------|----------------------------|
| 1 იანვარი 2018 წელი                      | 12,826                     |
| გამოკლებული აქტივების დაგროვილი<br>ცვეთა | -                          |
| წლიური ცვეთა                             | 8,729                      |
| 31 დეკემბერი 2018 წელი                   | 21,555                     |

| საბალანსო ღირებულება   | პროგრამული<br>უზრულველყოფა |
|------------------------|----------------------------|
| 31 დეკემბერი 2018 წელი | 62,886                     |

## 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                                   | 31//12/2018 |
|---------------------------------------------------|-------------|
| ფული სალაროში                                     | 8,929       |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 107,209     |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში  | 142         |
|                                                   | 116,280     |

## 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                                | 31//12/2018 |
|------------------------------------------------|-------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან       | 752,848     |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ          | 1,897       |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები               | 138,849     |
| სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 893,594     |

## 7. მარაგები

|                                      | 31/12/2018       |
|--------------------------------------|------------------|
| ნედლეული და მასალები                 | 1,262,058        |
| საწვავ-საცხები მასალები              | 3,002            |
| სათადარიგო მასალები და ინვენტარი     | 158,014          |
| მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობები | 44,238           |
| სხვა მარაგები                        | 6,802            |
| <b>სულ მარაგები</b>                  | <b>1,474,114</b> |

## 8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                                                       | 31/12/2018       |
|-------------------------------------------------------|------------------|
| საქონლის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულება          | 1,094,633        |
| მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი ვალდებულებები      | 23,132           |
| იჯარის ვალდებულებები                                  | 9,366            |
| გადასახდელი ხელფასები                                 | 3,732            |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                       | 535              |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>1,131,398</b> |

## 9. ამონაგები

|                        | 31//12/2018 |
|------------------------|-------------|
| საქონლის რეალიზიციიდან | 11,821,091  |

## 10. სხვა შემოსავლები

|                                     | 31//12/2018 |
|-------------------------------------|-------------|
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | 136,763     |
| იჯარიდან                            | 3,827       |
| სხვა                                | 3,508       |
| სულ სხვა შემოსავლები                | 144,098     |

## 11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გომოქვეყნდა 2019 წლის 30 სექტემბერს